ეკოაქტივიზმი ბავშვებში –
ვასწავლოთ ბავშვებს გარემოზე ზრუნვა

ავტორი: **შორენა ტყეშელაშვილი**

„ჩემი ოჯახის ტრადიცია ყოველ საღამოს ერთად სავარჯიშოდ სკვერში გასვლაა", – ასე პასუხობს ონლაინგაკვეთილზე ჩემი მეოთხეკლასელი შვილი მასწავლებლის შეკითხვას – რა არის მოსწავლეების საოჯახო ტრადიცია.

ჩემი შვილის პასუხმა კიდევ ერთხელ დამაფიქრა, როგორი მნიშვნელოვანია მოზარდისთვის სწორი მაგალითის ჩვენება ისეთ ღირებულ თემაზე, როგორიც გარემოსთან კავშირი და მასზე ზრუნვაა. იმისათვის, რომ ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე ჩამოუყალიბდეთ ეკომეგობრული ცნობიერება, შეიყვარონ ბუნება და დააფასონ მისი სარგებელი, საჭიროა უფროსებმა თავად მივცეთ მათ ამის მაგალითი.

მართლაც, დიდი ხანია ოჯახის ყველაზე საყვარელი საქმიანობა – რთული დღის შემდგომ სუფთა ჰაერზე გასვლა და განტვირთვა, ბავშვების საყვარელ თამაშობებში აქტიური ჩართვა და შემდეგ კმაყოფილ ბავშვებთან ერთად სახლში დაბრუნებაა. დროთა განმავლობაში უფრო მეტად ღირებული და ძვირფასი ხდება ისეთი დღეები, როცა მთელი ოჯახი ზურგჩანთებს მოვიკიდებთ და მცირე ლაშქრობებს ვაწყობთ. როცა ეს იშვიათად ხდება, განვიცდით, რომ ასეთი დღეებისთვის ნაკლები დრო რჩება ჩვენს ძალიან შემჭიდროებულ დღის განრიგში. მე და ჩემი შვილები იმ დღეს დაკარგულად მივიჩნევთ, თუ საღამოს სახლიდან გასვლას და სუფთა ჰაერზე გასეირნებას, ვარჯიშსა და თამაშს ვერ ვახერხებთ. ისე გამოვიდა, რომ ყოველდღიური აქტივობა ჩვენი ოჯახის საყვარელ ტრადიციად იქცა და იმედი მაქვს, როდესაც გაიზრდებიან, არც მაშინ დაივიწყებენ ასეთი აქტივობების მნიშვნელობას.

პანდემიის პირობებში ფიზიკური აქტივობა, მწვანე და ღია სივრცეები კიდევ უფრო დავაფასეთ, შევიყვარეთ და ვფიქრობ, მის მნიშვნელობასაც უფრო მეტად ჩავწვდით. სახლებში, კომპიუტერისა და ტელევიზორის ეკრანის წინ გამოკეტვამ დაგვარწმუნა, რამხელა გავლენა აქვს ჩვენს ფიზიკურ თუ მენტალურ ჯანმრთელობაზე მწვანე სივრცეებს.

ჩვენს სახლთან მდებარე სკვერი ნაძვებშია ჩაფლული და იქ ყოფნა ნამდვილად ამაღლებს ჩვენს განწყობას, დღის განმავლობაში დაგროვილი სტრესებისგანაც იქ ვთავისუფლდებით და ფიზიკურად ვჯანსაღდებით. სკვერში ციყვებიც მრავლად არიან და მათი დანახვა კიდევ უფრო ახალისებთ ბავშვებს. ჩვენი სკვერი სულ ახლახან გაარემონტეს, სტადიონი და სათამაშო სივრცე განაახლეს, Zip Line-ც გაჭიმეს, რომელიც საკმაოდ მალე სასეირნოდ გასულებს ჩამოწყვეტილი დაგვხვდა. (თუმცა ეს სულ სხვა ამბავია, მაგრამ იმაზე დაფიქრება, როგორ ვეპყრობით ჩვენს ხელთ არსებულ საზოგადოებრივ სიკეთეებს და როგორ „ვზრუნავთ" მათ შენარჩუნებაზე, ნამდვილად ღირს).

©განათლების e- სახლი

სკვერი ხალხმრავალი მხოლოდ ზაფხულობით არის, მაგრამ წელიწადის სხვა დროსაც, მიუხედავად ხალხის სიმცირისა, ხშირად გვხვდება დანაგვიანებული. სტადიონზე სიგარეტის კოლოფები, ნამწვავები, კანფეტის ქაღალდები, ბოთლები და ახლა უკვე პირბადეებიც ხშირად აგვიკრეფია. შეიძლება ითქვას, სეირნობის ტრადიციის თანმხლები აქტივობა დაბინძურებული სკვერის დალაგება და მასზე ზრუნვაც არის.

[იხილეთ ვიდეო ბმული.]

სკვერს ერთი მხრიდან ტყე ესაზღვრება. კარგ ამინდებში ტყეშიც ხშირად ვსეირნობთ, ლაშქრობებს ვაწყობთ და მის მრავალფეროვნებას ვეცნობით. ისევე როგორც ყველა სხვა სივრცე, ჩვენი ტყეც დაბინძურებულია. აქ ათასგვარ ნაგავს ვპოულობთ. პიკნიკის შემდგომ მორჩენილ ნარჩენებს, ბოთლებს, ცელოფნის პარკებს, ერთჯერად ჭიქებსა და თეფშებს. ამას გარდა, ჩვენი მწვანე სივრცეები მშვენიერი „სამალავი" ყოფილა სამშენებლო ნარჩენებისთვისაც. ერთი სიტყვით, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით ჩვენი გულგრილობის დამადასტურებელ კვალს და ეს ძალიან საწყენია.

ცოტა ხნის წინ ჩემს შვილებს ბიძაშვილები ესტუმრნენ და გასართობად ჩვენს საყვარელ სკვერში წავიყვანეთ. გადავწყვიტეთ შეძლებისდაგვარად დაგველაგებინა იქაურობა და ირგვლივ მიმოფანტული ნაგავიც აგვეკრიფა. ეს ვიდეოც მობილურით გადავიღეთ იმის საილუსტრაციოდ, რამხელა მნიშვნელობა აქვს ბავშვების ჩართულობას ამ საკითხის მოსაგვარებლად და პრობლემის გამოსაკვეთად.

ვფიქრობ, ჩვენს საზოგადოებაში ძალიან დაბალია ეკომეგობრული ცნობიერება და ამ მხრივ ინფორმაციის ნაკლებობაცაა. ამიტომ მნიშვნელოვანია, ბავშვებს ადრეული წლებიდან ვესაუბროთ გარემოს დაცვაზე, ჩავრთოთ ისინი მსგავს აქტივობებში და უფროსებმაც მათთან ერთად გავითავისოთ ეს საკითხი.

©განათლების e- სახლი